სოციალური მუშაკების პროფესიული გადაწვის თავისებურებები ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში

თამარი მაისურაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოტრავმატოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული მასწავლებელი ქეთევან ფილაური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი მაისურაძე

18.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება პროფესიული გადაწვის ფენომენის შესწავლას საქართველოში სოციალური მუშაკების გამოცდილების მაგალითზე ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. პროფესიული გადაწვა წარმოადგენს მდგომარეობას, რომელიც მოიცავს ემოციურ გამოფიტვას, დეპერსონალიზაციასა და პირადი მიღწევებით უკმაყოფილებას (Maslach et al. 2001), და ახდენს გავლენას როგორც ინდივიდის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, ისე პროფესიულ ფუნქციონირებაზე. მისი შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია მაღალი ფსიქოსოციალური დატვირთვის მქონე სფეროებში, როგორიცაა სოციალური მუშაობა. კვლევა მიზნად ისახავდა პროფესიული გადაწვის გამოვლინების დონეების, მისი გამომწვევი მიზეზებისა და დამცავი ფაქტორების გამოვლენას ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებში. გამოყენებული იყო რაოდენობრივი მეთოდოლოგია: **MBI-HSS** (Maslach Burnout Inventory - Human Services Survey), **PHQ-4** კითხვარები და კვლევის ავტორის მიერ შემუშავებული კითხვარი. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეთა უმრავლესობას (58%) აღენიშნება პროფესიული გადაწვის მაღალი ან საშუალო დონე. გადაწვის სიმპტომები მჭიდრო კავშირშია შრომით დატვირთვასთან, არაეფექტურ სუპერვიზიასთან, ემოციურ შრომასთან და ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობასთან. კითხვარების ანალიზმა ცხადყო, რომ სამუშაო გარემოში არსებული სისტემური გამოწვევები, კადრების სიმცირე და პროფესიული იდენტობის გაურკვევლობის სირთულე ზრდის პროფესიული გადაწვის რისკს. ამავდროულად, დაცვით ფაქტორებად გამოვლინდა კოლეგიალური მხარდაჭერა, პირადი მოტივაცია, თვითზრუნვის ქმედითი სტრატეგიები და ხარისხიანი სუპერვიზია. ნაშრომი მიუთითებს, რომ პროფესიული გადაწვა საქართველოში სოციალური მუშაკებისთვის წარმოადგენს სისტემურ და ინდივიდუალურ გამოწვევას, რაც საჭიროებს როგორც პოლიტიკურ, ისე ორგანიზაციულ დონეზე მიზანმიმართულ ინტერვენციებს - მათ შორის სუპერვიზიის სისტემის გაუმჯობესებას, პროფესიული განვითარების მდგრად მექანიზმების დანერგვასა და სამუშაო დატვირთვის შემსუბუქებას.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული გადაწვა, სოციალური მუშაობა, სუპერვიზია, სტრესი, თვითზრუნვა, ბავშვთა კეთილდღეობა.

Abstract

This paper explores the phenomenon of professional burnout through the lens of social workers' experiences in the field of child welfare in Georgia. Burnout is defined as a condition characterized by emotional exhaustion, depersonalization, and a diminished sense of personal accomplishment (Maslach et al., 2001), and it affects both the psycho-emotional well-being of the individual and their professional functioning. Investigating this issue is particularly relevant in high psychosocial demand professions such as social work.

The study aimed to identify the levels of burnout, its contributing factors, and protective elements among social workers employed in the child welfare sector. A quantitative methodology was employed, using the MBI-HSS (Maslach Burnout Inventory – Human Services Survey), the PHQ-4 questionnaire, and an additional instrument developed by the author of the study.

Findings revealed that a majority of participants (58%) exhibited moderate to high levels of professional burnout. Burnout symptoms were found to be strongly associated with work overload, ineffective supervision, emotional labor, and a lack of institutional support. The analysis of the questionnaires highlighted that systemic challenges in the work environment, such as understaffing and ambiguity in professional identity, significantly increase the risk of burnout. Simultaneously, protective factors identified included collegial support, intrinsic motivation, effective self-care strategies, and high-quality supervision.

The paper concludes that professional burnout constitutes both a systemic and individual challenge for social workers in Georgia, necessitating targeted interventions at policy and organizational levels. These include improving supervision systems, establishing sustainable mechanisms for professional development, and reducing excessive workloads.

Keywords: professional burnout, social work, supervision, stress, self-care, child welfare.